ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებით დამტკიცებული ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი
დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებით დამტკიცებული 2026 წელს მოქმედი ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელებას, კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტების გამოვლენას.

1.2 კომისიის საქმიანობის წესს /დებულებას/ ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

1.3 ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე, განათლებასა და სდასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებს.

აღნიშნული ქვეპროგრამა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა სხვებთან თანასწორ პირობებში.

2.კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

2.1. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

2.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

2.3. კომისია შედგება 10 (ათი) წევრისგან.

2.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

2.6. კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.7. კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

2.8. კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

2.9. კომისიის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ. სხდომა შეიძლება გაიმართოს როგორც დასწრებით, ასევე დისტანციურ ფორმატში.

2.10. კომისიის წევრები საქმიანობას ეწევიან ანაზღაურების გარეშე.

3. კომისიის ფუნქიების და გადაწყვეტილების მიღების წესი

3.1კონკურსში შემოსული განაცხადების განხილვა, შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მერის ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 -ის შესაბამისად.

3.2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3.3. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.

3.4.კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს თავისი მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

3.5. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

5. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
212721170